№ 1 3 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1879 3 იანვარი, ოთხშაბათი № 1

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩა, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—6 ნ., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თ—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალ ნომერი ღირს შაურად.

დროება

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე—1 კაპ., ... სტრიქონზე—8 კაპ., ... ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება"

გამოიმუდამ დღე და იმავე მიმართულებით და პროგრამმით, როგორც აქამდინ ოდიოდა.

ხელის-მოწერა

თ ... ში მიიღება რედაქციაში ბაღის ... ზე ბ. შადინოვის სახლებში № 33.

ძალს გარეშე მცხოვრებთა გაზეთ ... ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Редакцію газеты „Дроэба"*.

გაზეთის ფასი

მთელ ... წლისა	— — 8 მან.
... ...	— — 5 მან.
... თვისა	— — 3 „
... თვისა	— — 1 „

მხოლო ამ ვადებით შეიძლება ... ზეთის ... ება.

შულ ... ზეთის დაბარებისა-თანაბუნდა იქმნ ... რედაქციაში წარმოდგენილი.

რედაქციისაგან

დიდი, ... ციან დიდი სურ ... ლ ... ქონდა, რომ ... ლ ... ევანდელი წლ ... ამ ჩვენი პატარა ... ეი ... ოტაც არ ... ბ ... ბ ... ბ

ვებელს, როგორც კაცს, რომელსაც დიდი ხნის განმავალობაში თვალ-ყური უდეენია საზოგადო ცხოვრების მსვლელობისათვის, ბიჯითად თუ არა, დაახლოებით მაინც შემიძლიან გამოვთქვა — თუ რასში მდგომარეობს ახლა ეს ჩვენი საზოგადო ნატვრა და იმედი.

ერთის სიტყვით რომ გამოვსთქვათ, ჩვენი ჰაზრი, ჩვენი ნატვრა არის შემდეგი:

ჩვენ გვინდა, რომ ცოცხალ-ვიყოთ!

ამ სიტყვას განმარტება ეჭირება: ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენია ხასიათით, ჩვენის ჩვეულებით, ჩვენის ქვეყნით.. ერთის სიტყვით, ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ჩვენის ნაციონალურის, განსაკუთრებულის თვისებებითა, იმ თვისებებითა, რომლითაც ქართველი განირჩევა სომხისაგან, ფრანცუზისაგან, ჩინელისაგან და სხვ. ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთ ხალხათ, რომელსაც თავის საკუთარი სახე, თავის განსხვავებული ტიპი, შეხედულობა აქვს.

ამასაც განმარტება უნდა: ჩვენ გვინდა დავიცვათ ჩვენი ნაციონალური ენა, ხასიათი და თვისებანი; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დავიცვათ ისე და იმ გვარად, როგორც ახლა არის. არა; მომავალმა ყველაფერს თავის წარმატებისა და წინმსვლელობის ბეჭედი უნდა დაასვას.

ჩვენს ენას შემუშავება, გამდიდრება უნდა, ლიტერატურას გაძლიერება; როგორც ყველა ხალხს, ჩვენც გვაქვს ნაციონალური ნაკლულევანება და ისეთი თვისებანი, რომელთაც განსწორება, გაშალაშინება ეჭირება; ჩვენ გვაქვს ისეთი ჩვეულებანი, რომელთაც სულ მოსპობა უნდა.

მაგრამ ამაებზე უფრო ბევრი ფიქრი და ზრუნვა გვმართებს ჩვენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაზედ, ჩვენს სიღარიბეზედ. ჩვენ ერთსა და იმავე დროს მდიდარიცა ვართ და ღარიბიც; ბუნებით მდიდარი, ცოდნით, საშუალებით ღარიბი.

ჩვენი მუდმივი ნატვრა ის არის, ის უნდა იყოს და ის იქნება, რომ ყველა ამ მხრით წარმატება მიეცეს ჩვენს პატარა, ლამაზ ქვეყანას. „ყველასო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ხალხის ცხოვრება ერთობ რთული რამ არის, ის მხოლოთ მაშინ ელირსება წარმატებასა და უკეთესს ცხოვრებას, როდესაც ეს ცხოვრება ნორმალურად და გარმონიულად მიდის, როდესაც იმის ზნეობითი და ნივთიერებითი მხარეები ერთად, ერთ დროს და ერთნაირად არიან მოძრობაში, როდესაც იმას არც გარედამა აქვს შეევიწროება და არც შიგნიდამ დაბრკოლება...

ეს არის ჩვენი ნატვრა.

რასაკვირველია, რომ ამ ნატვრის შესრულებას ჩვენ ერთ და ორ წლის განმავალობაში არ მოველით; ათი, ოცი, ასი წელიწადია საჭიროა, რომ რომელსამე ხალხს წარმატება, კეთილდღეობა და წინ-სვლა დაეტყოს.

იყო დრო, როდესაც ქართველი კაცი, რომელიც თავის ქვეყნის საზოგადო ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდა, შეიძლებოდა სასოწარკვეთილებაში შესულ იყო, ისე ცუდათ მიდიოდა ეს მისი ქვეყნის ცხოვრება, ისე ცუდი ნიშნები ჩნდნენ, ისე დავარდნილი იყო ხალხი, იმის ხასიათი, მწიგნობრობა და მწერლობა. ყოველის მხრით შავი ღრუბლები ჩნდნენ და არსაიდამ ნათელი.. ყოველის მხრით უიმედობა, გულ-გრილობა, თავ-შინებება, დავიწყება თავის ქვეყნის ბედზე ზრუნვისა, საზოგადო სამშობლოისა...

ეს იყო კრიზისის დრო საქართველოისათვის...

ამ დრომ გაიარა. ბამოჩნდა ნათელი. ალმოცენდა ძანათობელი, ცისკარი. ახლა ჩვენს გულში ღვივის იმედი.... ქართველობას შიში არა აქვს.... არის ნიშნები ხალხის გამოღვიძებისა; ვხედავთ, მართალია, მცირეს, მაგრამ მაინც ვხედავთ, საზოგადო საქმეებზე მზრუნველობას, საზოგადო სამშობლოზე ფიქრსა.

და ყველა ქართველს მანუფაქტურა და გამამხნევებელი ის უნდა იყოს, რომ ეს მანათობელი ცისკარი, ეს ნიშნები, დღითი-დღე-თან-დათან უფრო გაძლიერდებიან, გიბრწყინდებიან...

ამ იმედით მოგილოცავთ ამ ახალ-ელიწადს...

ს. მ.

დღიური

*** „თფილისის მოამბის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ქვემოძმოყვანილი ამბავი, რომელიც, როგორც მკითხველი დინახავს, მძიმე და ფრიად დიდიყურადღების ღირსი ამბავია:

ჩვენ გვეცნობებენ, რომ სდგება წესდება, რომლის ძალითაც მთელი ბაკასის სანამესტნიკოში შემოღებულ უნდა იქნეს საყოველთაო სამხედრო სმსახურის კანონები. ყოველ 10,000 (ათი ათს) მცხოვრებელზე გამოყვენილ იქნება 13 (ცამეტი) სული 20 (ოცის) წლისა და ამათგან შესდგება 8 ქვეითა დრუჟინა და 8 ცხენოსანი სოტნეებ.

მშვიდობიანობის დროს თითოეული დრუჟინა 5 სოტნისგან შესდგება. სულ 420 კაცისაგან, და ცხენოსანი 120 კაცისგან. ომიანობის დროს კი ითოეულის დრუჟინისაგან გამოიყვანება 4 სოტა 4 ქვეითა დრუჟინის შესადგენად და ითოეულ ცხენოსანი სოტისაგან შესდება თითო პოლკი. ამათ სამხედროს წვალა და ვარჯიშობა. იგორც გავიგეთ, ისეთივე იქნება, როგორც რეგულირულ ჯარებში.“

*** ბათუმში წესდება ისეთივე კარანტინის კამგეობა, როგორიც სხვაგოთ შავი ზღვის ნაპირა ყველა ქალაქებში არის გაწესებული.

*** ზაბა-ახალწლის დღესასწულებმა მშვიდობით, თითქმის შეუნიშნავად ჩაიარა ჩვენ ქალაქში. მთვრალებდა მომხიარულე ხალხი, რასაკვირველა, ჩვე-

მწერლობა

ჰაერლსტატი, კომედია ოთხ მოქმედებად. თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა. თბილისი. 1878.

1856 წელს ერთი საფრანგეთის პრეფექტიანი (გუბერნატორი), ერთგული მსახური თავის იმპერატორისა, სცდილობს ხელთ-იგდოს ერთი მთავრობის წინააღმდეგი საიდუმლო საზოგადოება, რომლის მოთავედ ალფრედ დუპონი ჰგონია.

პრეფექტის ცოლმა, თავის ქმრის დარიგებით, ალფრედს თავა შეაყვარებინა და ამ საშუალებით უნდა საიდუმლო საზოგადოების მიზანი და ყოველი ვითარება გამოსტყუოს. სეკრეტარიც დიდს ფაცა-ფუცშია, სულ რაღაც ქაღალდებს ეძებს, რომ დამტკიცოს ალფრედის დანაშავობა; ანტუან დუპონიც (ალფრედის მამა) დაატუსაღეს, რომ თავისი შვილი არ გასცა და არ წარუდგინა პრეფექტს ქალალდები და შექთმულების სია.

ამასობაში ალფრედსა წვეულობა აქვს, მისი ამხანაგანი მიწვეულნი ჰყავს, რომ ვახშმის დროს საიდუმლო საგანზე მოლაპარაკება მოხდეს.

პრეფექტმა და სეკრეტარმა ყველა ეს იციან და ეს ღამე დანიშნული აქვსთ საზოგადოების დასაჭერათ; ჟანდარმებიც მზათ არიან სეკრეტრის ბძანება აასრულონ. მაგრამ პრეფექტის ცოლს, რომელსაც უნებრივ გულს შეეპარა ალფრედის სიყვარული, უნდა გადაარჩინოს თავისი საყვარელი დატუსაღებას და ამისთვის ვახშმის დროს თავს მოიავათმყოფებს და სთხოვს ალფრედს შინამდინ გააცილოს; ალფრედი გაჰყვება ქალსა; ამ დროს შემოდიან ჟანდარმები და მთელი ყრილობა მიჰყავთ საპატიმროში.

კომედიის ბოლოს გაიოჩნდება, რომ ამ საიდუმლო საზოგადოებას თავროობის გადაგება და ხალხის აჯანება კი არ უნდოდ, მარტო აერისტატის საჭეს გამოგონებ უნდოდა თურმე... და ჩვენი პრეფექტი ეს სეკრეტარი დაჯილდობის მაგიერ თავშერცხვენილნი დარჩენ.

ეს არის კომედიის შინაარსი. მაგრამ უფ. ჯორჯაძემ ისე ოსტატურად დაწერა ეგ ამბავი, რომ მინამ ბოლომდის არ წაიკითხავ, ვერცკი მიხდებრით გათავდება. მათლა და სასაცილო და მოულოდნელი ამბავია.

სცენისთვისაც კარგი სუჟეტ იქნებოდა, თუ პატუცემულს ავტორ ცოტა შრომა გაეწია და უკეთ შეემშავებინა თავის თხზულება. მოქმედება სე მალე მიდის, რომ ადგილ დროა არა აქვს მოქმედის პირის ხასიათი შეიტყო. პრეფექტის ცოლის სიყვარულის ამბავ ისეთი საინტერესო რამ არი, რომ ღირსია უფრო ვრცლად და დაწერილად იყოს ის გამოხატული. ალფრედ თავის

ულებრივად ბლომად იყო, მაგრამ ჩხუბი, ქურდობა, ავაზაკობა, რომელიც ამ დღესასწაულებს სჩვევია, წელს თითქმის სულ არ გაგვიგონია.

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია კავკასიის ტამოჟნის უწყების უფროსისაგან უფ. ბარონ ⊓ სტენ-საკენისაგან შედგენილი პროექტი ბათუმის პორტო-ფრანკოს ტამოჟნისა. ამ პროექტის ძალით თვითონ ბათუმში დაწესებული იქნება დამოჟნა, რომელიც ბაქს გადაახდევინებს ყველა ვაჭრებს, რომელნიც ბითუმიდამ საქონელს გაიტანებენ. ამას გარდა ბათუმიდამ მიმავალ გზებზე, სამს ადგილას დაწესებული იქნება ზასტავები: ⊓ ზურგეთისა, ჩოროხისა და ქახაბერისა. შეკვეთილის ქარანტინო-დამოჟნის ზასტავა ქობულეთშია გადატანილი.

*** ბევრისაგან გავიგონეთ ჩვენ კითხვა, თუ რატომ არაფერი ისმის ამდენი ხანი ქალაქის ახალი თავის ამორჩევაზედ, რატომ ახალი რჩევა ქალაქისა არ იკრიბებაო და სხვ.

ყველა ეს ახლანდელი ქალაქის ბამგეობაზედ არის დამოკიდებული. ამ გამგეობამ უნდა მოიწვიოს ახალი ხმოვანები და ამათ ამორჩევის (კენჭის-ყრის) რიგს როცა განიხილვენ და დარწმუნდებიან, რომ ეს კენჭის-ყრა კანონიერი ყოფილაო, მერე პირველი საქმე, რომელზედაც უნდა მოილაპარაკოს ახალმა ქალაქის რჩევამ, იქნება ახალი თავის ამორჩევა.

*** ჩვენ გავიგონეთ, ვითომც ქალაქის ხელოსნები სჩივიან, ჩვენ არ შეგვატყობინეს, ცალკე უწყებით არ გვაცნობეს კენჭის-ყრის დროეო და ამის გამო მესამე რაზრიადის ამორჩევა უკანონოთ უნდა ჩაითვალოს, ხელ-ახლად უნდა მოხდესო.

ამაზე ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან სასიამოვნოა ამგვარი ინტერესის აღძვრა ჩვენს ხელოსნებში თავის საქმეებისადმი. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ შემთხვევაში იმათ საჩივარს არავითარი საფუძველი არა აქვს, რადგან კანონი არ თხოულობს, რომ უეჭველად თითეულ ამომრჩეველს ცალკე უწყებით აცნობონ კენჭის-ყრის დრო; კანონით საკმაოა განცხადების აკვრა ქუჩებში და ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადება.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 22 დეკემბერს. ძნელია, ღმერთმანი, ამ ჩვენი კორრესპონდენტობის მოვალეობა: უნდა ყოველთვის იმას ეძებდე და თვალ-ყურს ადევნებდე, რაც უფრო ახალი და საყურადღებოა მკითხველი საზოგადოებისათვის.

მაგრამ ამის სისრულეში მოყვანაძნელია; ძნელია ამისათვის, რომ წინ ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზი გებლანდება. ჰფიქრობ: ავწერო, ვიშრომო; მაგრამ ვაი თუ უ. რედაქტორს ხელს არ მისცემს დაბეჭდვა! მაი თუ წიგნებს გზაში რაიმე ფათერაკი დახვდა და ფრთები შეისხან საიქიოსკენ გასაფრენათ, სადაც წამსველელი კი ბევრია და მომსველელი კი არა...

ერთი სიტყვით, მიზეზები და სულ მიზეზები... ახლა იტყვით: ბათუმიდამ რომელი ანბებით ვასიამოვნო და გავაკვირვო მკითხველი საზოგადოებაო? მოგვივა სახეში პოლიციის უხეირობა, კაცის მკვლელობა, ქურდობა, ცარცვა, ავაზაკობა და სხვა ამისთანა უბედურებები! ამათ მოგონების შემდეგ ის მოგდის სახეში, რომ, აბა ეს იმათთვის ან რა გასაკვირვი, ან რა ახალი ანბები, ან რა სასიამოვნო ანბებია, როდესაც იმათშიაც ათასობით ხდება, ბევრსაც სწერენ, ბევრსაც სჩივიან; მაგრამ რა! წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალი, ისევ წყალიო!!

სულით და გულით გვინდა, რომ ვსწეროთ, რადგანაც, მადლობა ღმერთსა, მარილი სულ მუქთათ—ათი ერთ გროშათ გვიჯს; მაგრამ, ათასნაირი ჩვენი სიტყვებისვე გამამტყუნებელი აზრები ჩვენსავე უბედურ თავში გვეშალება, ვაგვეწყობა! ალლახი იყოს ჩვენ-წმიდა მოვალეობის დამცველი და შემწე, თორემ ბევრის რისხვა ჩვენ უფსკრულ დედამიწაში გაგვატარებს!...

თუმც ესენი ასეა, მაგრამ მაინც რაცხაებს ჩამოგითვლით, რომ ზარმაცობა არ დამწამოთ და კიდევაც შეიძლება ბევრისათვის, სულ ბევრისათვის ახალ და გამოუცნობელ ანბავებათაც შეიქმნეს.

აი პირველში ავიღოთ ჩვენი ტელეგრაფის უხეირობა: როცა მოხვალ, ყოველთვის მოშლილი აქვსთ. რა არის, ღმერთმანი ამდენი დაუდევრობა?! რით ვერ გააკეთეს ერთი რიგიანათ? ამ დღეებში ფოთიდან მოვიდა ტელეგრამმა, რომ 275 მგზავრამდი პარახოდი „რიონით“ წამოვიდნენ ბათუმისაკენაო. ერთიც ენახოთ, აიშალა ჰაერი, ატყდა ერთი უბედური ზღვის ღელვა.

ზოგი ძმას, ზოგი მამას, ზოგი ცოლშვილს, ზოგი მეგობარს მოელოდა. ბაგვისკდა გულები, „რიონი“ აღარსად გაძოჩნდა. უცადეთ ერთი დღე, უცადეთ ორი—სამი დღე; მაინც არ გაჩნდა პარახოდი არ საიდან. მივდივართ, ტელეგრამმით შევიტყოთ ფოთიდან, დაბრუნდა უკან, თუ დაიღუპა. მიხვალთ თუ არა, კარებშივე გიმახარობლობენ: „მოელილიაო!“

ოთხი დღე უცადეთ და კიდევ, არაფერი გვეშველა; მისცეს ერთ ⊓ ნგლისის პარახოდს წინადადება, რომ წასულიყო და მოენახა, ან თუ გაჭირებაშია, დახმარებოდა; მაგრამ იმისაგანაც უარი. თურმე რუსის პარახოდებზე მიუთითა: „როდესაც მაგენი აქ არიან, მაგითი პირდაპირი მოვალეობაა, ჩემი მოვალეობა არ არისო!“

ბოლოს დამშვიდდა ცოტათ ზღვა და „ბაბუშკა“ პარახოდი წავიდა მოსანახავათ; პირველში არც იმან მოგვიტანა ჩვენი გულის დასამშვიდებელი ანბავი. ბოლოს, ვეტყობულობთ, რომ „რიონი“ კაპიტნის შჩერბინის კარგი გამოცდილებით და კარგი მეცადინეობით მგზავრები ყველანი მშვიდობით გადარჩენილან, მაგრამ, პარახოდს კი თქვენი ჭირი წაულია, თითქმის სულ წამხდარა როცა ნაპირზე გაუგდია ზღვის ღელვას ფოთში.

როგორ მოგწონსთ ჩვენი ტელეგრაფის ამნაირი წესიერება! მოდით და ნუ იტყვით, რომ ესენი ყველაფერი თავიანთ ჯიბეების გასატენათ არის, რომ ისე ვერ აკეთებენ, რომ წამ-და-უწუმ არ გაფუჭდეს. იმისათვის თავს არავინ იწუხებს, თუ ხალხისათვის გაჭირების დროს რა საჭიროებას შეადგენს, რომ ერთხელვე ამათზე ვისიც რიგია, იმათ სრული ყურადღება მიქცეული ჰქონდესთ...

ფოჩტის უთავბოლო სიარულმა ხომ ძალა წაიღო. ხანდისხან რვა დაათი დღის ფოჩტას ერთათ ვღებულობთ ხოლმე! ეს რასაკვირველია, უფრო პარახოდების უთავბოლოთ სიარულის ბრალია; მხოლოთ ამის წესიერების დაცვაზე ჩვენი ფოჩტის ადმინისტრაციას ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

ხასიათით და აზრებით მიემსგავსება მიქტორ ჰუგოს დრამების გმირთა, და ცოდოა ამისთანა შესანიშნავი ტიპი ცუდათ იკარგებოდეს პატარა კომედიაში.

გარდა ამისა, ჩემის აზრით დიდი უცოდინარობაა საფრანგეთის პროვინციალურ ცხოვრებისა, როდესაც ავტორს პრეფექტის ცოლი ალფრედის წვეულობაში გამოჰყავს. საფრანგეთს არც ერთი პატიოსანი ქალი,— მეტადრე პრეფექტის ცოლი, რომელსაც მთელი ქალაქი პირში შესცქერის და ყოველს მის ნაბიჯს თვალს ადევნებს,—თავის დღეში სტუმრათ არ წავა უცოლო კაცის სახლში. პრეფექტი რაც უნდა უნამუსო კაცი იყოს, მაინც თავის ქალაქში და მაზრაში პირველი გვამია და არას დროს არ გაუშვებს თავის მეუღლეს იმ წვეულებაში, საცა ვილაც მარგარიტები არიან მიპატიჟებულნი. პირ-იქით პრეფექტისთანა ურცხვი ხალხი უფრო სცდილობს თავის უნამუსობა გარეგანი ზრდილობით და ამპარტეველობით დაფაროს. რა იმის ტოლია ალფრედი, რომ მის ცოლს გაემასპინძლოს? იმ დღესვე არ იყო, რომ უფალი პრეფექტი ალფრედის მამას ისე მოექცა, როგორც უკანასკნელს დაბალს კაცს?

საერთოთ უნდა ვსთქვა, რომ უფ. ჯორჯაძეს აქვს წერის ნაჭი, მისი პატარა კომედია ცოცხალი და გონიერი პიესაა; მოქმედნი პირნი მუდამ მოძრაობაში არიან, გრძნობა არ უცივდებათ მათ გულში და არ ავიწყდებათ მათი წადილის და მოქმედების საგანი. არა-ერთი კომედიის სანახავიდამ სჩანს (მეტადრე მესამე მოქმედებაში, რომ ჩვენს ახალს მწერალს სცენის ეფექტის და დრამის წესის ცოდნა აქვს. მაშ დანებოს თავი უფ. ჯორჯაძემ ფრანცუზებს, მიჰყოს ხელი ჩვენს ქართველ ცხოვრებას და გამოგვიხატოს ჩვენი შინაური სნეულობა; ეგ ჩვენთვის უფრო საჭიროებელი იქნება და ავტორისათვისაც უფრო ღირსი.

ა.

თქვენ კი, უფალო რედაქტორო, გვპირდებით, რომ კვირაში სამჯერ ივლის პარახოდით ფოჩტაო, რადგანაც წესდება ასე დამტკიცდაო! ყველა დამტკიცებული წესები რომ რიგიანად შესრულებული იქმნას, მაშინ ჰერი-აა!!!

მოუთმენელად მოველით ახალწელიწადს: იმისათვის რომ ახალმა წელიწადმა, როგორც ამბობენ, ახალი წესდება და მიროვოი სუდია უნდა დაჰბადოს ბათუმშიო. ბაიძეერა ცრუ აბლაკატებისაგან კი ალლახმა დაგვიხსნას. უიმისოთაც ახლავე გამოჩნდნენ აქ ბლომათ იმისთანა კაცები, რომელნიც სარგებლობენ ხალხის უმეცრებით და წესიერების დასაცველად კანონებით.

სხვა-და-სხვა საშუალებით ხალხის ცარცვა ხომ რაღა. რომ შესაძლებელი იყოს და ბათუმის ნახევარს ზეიდან გადახურავდნენ და ზღუდეს შემოუვლებდნენ, იმის შესავალ კარებთა დიდროვანი ასოებით დაიწერება შემდეგი: „ბახუსის სამეფო! საროსკიპო და სოდომ გომორი!“

აქ არ შეიძლება არ გამოვთქვათ სურვილი, რომ მოხდეს ფიცხელი განკარგულება ამდენ მაწანწალე მოლლებზე, რომლებიც ვილაც ოსმან-ფაშის წაქეზებით დადიან და ხალხში ჩვენ წინააღმდეგ ათასნაირ ხმებს ავრცელებენ, და ჰქადაგებენ. კორრესპონდენტის კვალში ჩადგომა დიდ არაფერს შეადგენს, ჩვენ ვეცადოთ, რომ ამნაირი გარედან შემოსეული მტრები მოვიშოროთ...

კრაზანა

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

დღევანდელს „დროებაში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ ავღანის ემირის საქმე სულ უკუღმა წასულა: იმას მიუტოვებია თავის ქვეყანა და ჯარები და მომავალს თებერვლის თვეში პეტერბურღში მოელიანო.

ამასთანავე რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ლონდონიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელშიაც იწერებიან, ვითომც ავღანის ამირმა სთხოვა რუსეთს ინგლისთან მორიგებაზე შუამდგომელობა. ამბობენ, შეიტყო თუ არა ეს ამბავი ინგლისმა, იმ წამსვე ტელეგრამმით აცნობა ინდოეთის ვიცე-კოროლს, რომ დაიჭიროს თავის ჯარებით ყანდაარი და შემდეგ შეაჩეროს ყოველი სამხედრო მოქმედება.

ოსმალეთი

„ახალი წელიწადი ძალიან ცუდი ნიშნებით დადგა ოსმალეთშიო“, ამბობს სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „ტაიმსისა“. ერთის მხრით, კაიმეს (ოსმალოს ქაღალდის ფულის) დაცემის გამო ვაჭრობა აქ ძალიან დავარდაო; მეორე, შიმშილისა და სიღარიბისაგან ხალხი ერთობ აღელვებულია; რამდენიმე ათი ათასი ხალხი მოგროვდაო სტამბოლში, რომელთაც დღიური ლუკმაპური და თავშესაფარი ადგილი არა აქვთ' და ეს ხალხი, თუ ერთი რამ საშუალება არ მოუნახა მთავრობამ, უეჭველია, არეულობასა და უწესოებას მოახდენსო; მესამეც ესა, რომ დღე არ გაივლის ისეთ, რომ რამდენიმე კაცი არ დაატუსაღონ იმ შეთქმულობის გამო, რომელიც ამას წინათ აღმოჩნდა და რომელსაც ახლანდელი ხონთქრის ტახტიდამ გადაგდება ქონდა მიზნათაო.

საფრანგეთი

მოგეხსენებათ, რომ 5 იანვარს (24 დეკემბერს) დანიშნული იყო საფრანგეთში სენატორების ამორჩევა. პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილი ტელეგრამმები გვაცნობებენ, რომ 75 სენატორში 41 რესპუბლიკის მომხრე არის ამორჩეულიო.

ბოლგარია

(ნ) 18 იანვარს უნდა მოგროვდნენ ბოლგარიის ძველს სატახტო ქალაქს ტირნოვოში მთელი ამ ქვეყნის წარჩინებულნი პირნი, რომელთაც ბოლგარიის მთავარი უნდა ამოირჩიონ. სულ 290 წარმომადგენელი მოგროვდებაო. ამბობენ, რომ თ. ბატტენბერგის ამორჩევა უნდათ ბოლგარიელებსაო, მაგრამ ესეც უარზედ დგასო. გასაკვირველია, რომ ჯერ-ჯერობით ათი კანდიდატი კი დაასახელეს ბოლგარიის ტახტის მთავრად, მაგრამ ყველანი უარს ამბობენ...

განცხადებანი

ხუთშაბათს 4 იანვარს

ნემეცების კლუბის ზალაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლებში წარმოსდგება ქართული სცენის სასარგებლოდ:

1) თილი მის ხანი

კომედია სამ მოქმედებად თ. გ. ერისთავისა და

2) სხვა რიგი სიყვარული

ვოდევილი ერთ მოქმედებად თ. ი. ბარათაშვილისა

ინტრაქტებში იმღერებს აბდულ-გალი.

ბილეთები ისყიდება კასსირთან უ. როტინოვის ფოტოგრაფიაში, სასახლის ქუჩაზედ, და წარმოდგენის დღეს თვით კლუბის ზალაში, საღამოს ხუთი საათიდგან. (2—1)

ისყიდება სახლი ორი ოთახით და ეზოთი, რომელიც შეიცავს 71 ოთხკუთხ საჟენს, სოლოლაკში, პირველი ოტდელის მეორე უჩასტკაში № 98.

მყიდველს შეუძლიან მიმართოს პატრონს ძღ. ჩიქოვანს, ალექსანდრე-ნევსკის ეკკლესიის ზევით ქუჩაზე, კერესელიძის სახლების გვერდით, ელიოზოვის სახლში, № 21. (2—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ამ ქრისტეშობისთვის 29-ს, გამგეობის თან-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) იჯარით მიცემაზედ იმ შემოსავლისა, რომელიც ქალაქს პირუტყვის საკლავიდამ აქვს ქალაქს.

ვისაც ამ იჯარის პირობათა დაწვრილებით შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—3)

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი** — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) — შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპიკად.

4) **დედა ენა — ი. გოგებაშვილისაგან.** 50 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი — ი.** გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა** — იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა — — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი** — დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი** — პირველი ექვსი წიგნი — — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალისმული და მაშენიკები** — კომ. თუთაივისა — — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15 —

16) **სახარება** — — — 25 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასად.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.